რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ლიტერატურა ერთერთი უძველესი ლიტერატურაა არა მარტო ჩვენს საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში. ქართულ ენაზე შემონახულია ლიტერატურული ძეგლები, ხელნაწერების სახით, მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული. ამ ხელნაწერებში, რომელთა რიცხვი ჩვენს მუზეუმებში 15.000-ს აღემატება, წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობა არა მარტო ჩვენი ქვეყნისა, არამედ თარგმანების სახით, სხვა ისტორიული ერებისაც: ბერძნების, სირიელების, სომხების, არაბების, სპარსელების და სხვ.

რაც უფრო საყურადღებოა და საინტერესო, ქართულ თარგმნებში გადარჩენილა ისეთი თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულია და მეცნიერებისათვის დღეს საძიებელი გამხდარა.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მიზანი და ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან მეცნიერულად შეისწავლოს ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ნამდვილი პირობები ასეთი საქმიანობისათვის უკვე შექმნილია პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ახლა ჯერი მეცნიერ მუშაკებზეა, რომელთაც სერიოზული და ბევრითი მუშაობა მართებთ.

ინსტიტუტში სამი განყოფილებაა: ქართული ლიტერატურის, ქართული ფოლკლორის და ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის.

რა მასალები უნდა მოექცეს ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში?

1. უადრესად მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ბელეტრისტიკა, რომელიც პირდაპირ ამოუწურავ ოკეანეს წარმოადგენს.

2. საშუალო საუკუნეთა მხატვრული ლიტერატურიდან პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ თხზულებებს, რომელნიც ჯერ ერთხელაც არ გამოცემულან, ანდა გამოცემული არიან არადამაკმაყოფილებლად.

3. უმდიდრესი ორიგინალური და ნათარგმნი ფილოსოფიური მწერლობა ამ სიტყვის ფართე, საშუალო საუკუნეთა, გაგებით.

მიმდინარე წელს ინსტიტუტი დაამუშავებს 52 თემას და დაამზადებს გამოსაცემად ხუთ შრომას

ა) „სპეკალი“. ეს არის ორიგინალური ფილოსოფიური შრომა, მეთვრამეტე საუკუნეში დაწერილი, რომელშიაც შეჯამებულია ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების მიღწევები;

ბ) „გარდამავალი ხანის“ (XVIII — XIX საუკ.) ქართული ლირიკოსები, რომელნიც ჯერ არც გამოცემული არიან და არც შესწავლილნი;

გ) „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი სტროფები;

დ) პალესტინაში ლიტერატურული ცენტრის შემქმნელის საბას „ცხოვრება“, ტექსტი და გამოკვლევა;

ე) „ქართული ზღაპრები“, ტომი III, ეს გაგრძელებაა იმ სერიისა, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა წამოწყებული.

გარდა ამისა, ინსტიტუტი დაამზადებს კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება მისი წევრების მიმდინარე კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგები ცალკეული თემების დამუშავების სახით.

აკად. ქ. კეკელიძე